საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:№97. 97231222
თარიღი:02/05/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N07

დ. ლენტეხი. 1/მაისი/2023წ.

მიმდინარე წლის 1 მაისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 13 (ცამეტი) წევრი. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი და მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება.

/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

/თანამომხს: საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ლამზირა გუგავა/

ღია კენჭისყრის შედეგით: მომხრე -13

წინააღმდეგი -0

დამტკიცდა: სხდომის დღის წესრიგი.

1. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 28 აპრილს სააქტო დარბაზში ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ როგორც თანამდებობის პირები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები. დაისვა შეკითხვები და მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეითხვას.

   დღეს უნდა მოხდეს ამ ანგარიშის დამტკიცება.

   აზრი გამოთქვა: მევლუდ ლიპარტელიანმა - აღნიშნა, რომ ანგარიშთან დაკავშირებით არ

აქვთ შეკითხვები, რადგანაც მომხსენებელმა საჯარო განხილვაზე ყველა კითხვას გასცა ამომწურავი პასუხები.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: ,,საბიუჯეტო კოდექსის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის თანახმად დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სხდომა დამთავრდა 13 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი